ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო უარღესად სახიფათო, ეგრეთწოდებული ოპერაცია „დევნა“, რომელიც ითვალისწინებს ატლანტის ოკეანეში 418 კონტეინერის ჩაძირვას. კონტეინერებში მოთავსებულია 12.500 ბაბრძოლო რაკეტა, რომლებიც სავსეა ნერვულ-პარალიზური გაზით.

მასობრივი მოწამვლის საშუალებების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსპობა არ შეიძლება მიეწეროს პენტაგონის მუშაობურ განზრახვებს. თუმცა ზოგიერთი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამერიკის სამხედრო სამინისტრო თავიდან იცილებს ადამიანთა მოსპობის მოთველებულ იარაღს. აღმოჩნდა, რომ ჯურვები რაკეტული სათბობის გამოტონვის გამო შეიძლებოდა თვითონვე აფეთქებულიყო. მათი შემდგომი შენახვა დიდ საფრთხეს უქმნიდა ალაბამის, კენტუკისა და ჩრდილოეთ კაროლინის შტატებს, სადაც საწყობებია განლაგებული.

ეს ხიფათი როცა გარდუვალი გახდა, პენტაგონმა კონსულტაციისთვის მიმართა მეცნიერებს. მათ წამოაყენეს რაკეტების ლიკვიდაციის რადიკალური საშუალება — მიწისქვეშა თერმობირთვული აფეთქება. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო დრო, და პენტაგონის გენერლებმა იგი უარყვეს. საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა. ამ დროს წარმოიშვა რაკეტების ოკეანეში ჩაძირვის იდეა.

ადგილი, სადაც უნდა ჩაძირონ კონტეინერები, 282 მილით (500 კილომეტრი) არის დაშორებული კენედის კონცხს. პენტაგონი ცდილობს დაწუნაროს მსოფლიო აზრი და აცხადებს, რომ ჩაძირვა დიდ სიღრმეზე ხდება, და ოკეანის წყლების მოწამვლის უსაფრთხოების გარანტიას იძლევა. საქმე ის არის, რომ რაკეტების თავისით აფეთქება შეიძლება ოკეანის დიდ სიღრმეზეც მოხდეს, რადგან რაკეტული სათბობის გამოყოფა მერმეტულ კონტეინერებში მაინც გრძელდება.

აფეთქება საკმაოდ დიდ მანძილზე გავრცელებს სასიკვდილო გაზს. ამავე დროს სხვადასხვა მიმართულებით დინებები მოწამლულ წყალს წაიღებს დიდ სივრცეზე. ამასთან ერთად მომწამვლელი ნივთიერება სწრაფად არ ორთქლდება, არ იხსნება წყალში. ეს იმის დამადასტურებელია, რომ იგი დიდხანს გაჩერდეს ოკეანეში და საფრთხეს შეუქმნის კაცობრიობას.

მასობრივი მოწამვლის საფრთხე საკმაოდ დიდია. ნერვულ-პარალიზური შხამები მიკრონაწილებითაც კი საშიშია ადამიანისათვის. ამიტომ უველაზე მეტად მოწამვლის საშიშროება ემუქრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ახლოს არიან ჩაძირვის ადგილთან. ესენია სამხრეთ ამერიკის ცენტრალური და ჩრდილოეთი რაიონები, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი სანაპირო.

• • •

სურათებზე: ზემოთ — რუკაზე ჯვრით მინიშნებულია ის ადგილი, სადაც მოხდება ნერვულ-პარალიზური გაზით სავსე კონტეინერების ჩაძირვა; ქვემოთ — ბეტონის ბლოკები სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორიაზე.

ნახატი და სურათი ჟურნალ „ი. ს. ნიუს ენდ ურორლდ რიპორტიდან“.



კუბის განგრძობის კურსი

18 აგვისტო

რაზე ნერკს ეცხოეთის არესა

ყოველი მხრიდან

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ვიეტ-პრეზიდენტმა ბპირო აგნიუმ მკვახედ გააკრიტიკა ის ამერიკელი პოლიტიკურე მოღვაწენი, რომლებიც მოითხოვენ ვიეტნამის ომის შეწყვეტასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ამერიკის ჯარების გამოყვანას.

მაიამი-ბიჩში (ფლორიდა) „ვიეტნოეთის ომების ვეტერანთა „ორგანიზაციის კონფერენციაზე გამოსვლისას აგნიუმ გაიღიმშერა სენატორების დემოკრატ მაკგოვერნსა და რესპუბლიკელი ჰეტფილდის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც შეიტანეს სამხედრო შესყიდვების კანონპროექტში. ამ კანონპროექტს ამჟამად ისიც სენატში. სენატორთა შესწორება მოითხოვს ამერიკის ჯარების გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან მომაეალი წლის ივნისის დამლევისათვის.

აგნიუმ ფაქტიურად აღიარა, რომ საიგონის რეჟიმი ეყრდნობა ამერიკის ხიშტებს. თუ შეერთებული შტატები, თქვა ვიცე-პრეზიდენტმა, თავის ჯარებს გაიყვანს სამხრეთ ვიეტნამიდან, სამხრეთ ვიეტნამის არმია წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ძალებს და ამის შედეგად „საიგონის მთავრობა დაემხობა“.

ვიცე-პრეზიდენტ აგნიუს გამოსვლა მოწმობს, რომ შეერთებული შტატები აბირებს გაორკეცებულ დროით დატოვოს ჯარები ვიეტნამში.

ქუბა

„კუგოეგის“ ხომალდები ამერიკის ნავსადგურებში

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ხელისუფლებამ ნება დართო ატომური ხომალდის „კუგოეგის“ შესვლას ამერიკის ნავსადგურებში. ეს ხომალდი ეკუთვნის ნორვეგიის ფირმა „ოსლო ტრანსპორტს“. ხომალდი ტვირთავს ამერიკის

სპეციალიზაციის სიკეთე

ბუთოლედის დამამთავრებელ წელს ზესტაფონელი მეცნიერები აღმაფლობით შრომობენ. ქარხნის ახალგაზრდულმა კოლექტივმა მიმდინარე წლის შვიდი თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდა და გეგმის გადამეტებით მოახდინა დღიდაღი პროდუქციის რეალიზაცია. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სასქელონო პროდუქციის გამოშვების დავალებაც. ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებისა და საწარმოო გეგმების სასახელოდ შესრულებასთან ერთად ჩვენმა კოლექტივმა მომჭირნედ იშრომა. დაზოგილია დიდძალი მასალა, რომლითაც შეგვიძლია ექვსი დღე-დამე. გამოვუშვათ და გამოვუშვათ 2.400 კილომეტრი კაბელი, რომლის ღირებულება 80.000 მანეთს შეადგენს.

მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიეთ შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეშიც. ხუთწლედის ბოლოსათვის გეგმით შრომის ნაყოფიერება 46 პროცენტით უნდა გაგვეზარდა, მაგრამ ამ მაჩვენებელს ბევრად გადავამეტეთ. შრომის ნაყოფიერების ზრდამ უკვე 128 პროცენტი შეადგინა. ეს ბევრად აღემატება ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულ მაჩვენებელს. რა ღონისძიებებით მოიპოვა ჩვენმა კოლექტივმა ეს წარმატება?

დარგობრივი პრინციპით წარმოების მართვის სრულყოფამ და მისმა განხორციელებამ დიდი და ფართო გასაქანი მისცა სახალხო მეურნეობაში სპეციალიზაციის დანერგვას, რაც დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ თვალსაზრისით ჩვენთანაც მრავალი ღონისძიება განხორციელდა. სპეციალიზაციამ, რომელსაც წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები, კარგი შედეგები მოგვცა. სპეციალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ერთიანი სამუშაოთა ცენტრალიზაცია და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა. ამ მიზნით შეიცვალა მთელ რიგ ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, გამარტივდა პროდუქციის დამზადების ციკლი. განახლდა ტექნიკური ბაზა, შეიცვალა წარმოების რეჟიმი და სხვ.

მარტო ერთი დასაყენებელი სადენის ტექნოლოგიური ციკლიდან ამოღებამ და მის ნაცვლად მეორე მარკის კაბელის დანერგვამ გამოიმარტივა ტექნოლოგიური პროცესი, დაზოგა ისეთი მასალები, რომელთა არის საიზოლაციო რეზინი, ბამბის ნართი, სპეციალური გამტენილი ნივთიერებანი, აგრეთვე დამხმარე მასალები. მათ ნაცვლად ახლა მხოლოდ ერთი საიზოლაციო მასალაა საჭირო. აღსანიშნავია, რომ მარტო ამ ღონისძიებით ყოველწლიურად მივიღეთ 40.000 მანეთი ეკონომია, ამასთან 30 პროცენტით გადიდდა პროდუქციის წარმოება. უკანასკნელ ორ წელიწადში პროდუქციის მოცულობა 98 პროცენტით გავზარდეთ, მაშინ როცა წარმოების ძირითადი, საწარმოო ფონდები საგრძნობლად შევამცირეთ და წარმოება ახლა გაცილებით მეტ მოგებას იღებს, ვიდრე სპეციალიზაციამდე. ყოველივე ეს მეკაბელეთა თაყვანდებული შრომის შედეგია. ამ შრომაში ბევრმა ისახელა თავი, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან სოსტატორები, რომლებსაც ი. ფერაძე და ზ. ლეჟავა ხელმძღვანელობენ.

საწარმოს ეკონომიური ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია წარმოების რენტაბელობის დონე და მოგება, გამომუშავებული პროდუქციის თვითღირებულებისა და შრომითი დანახარჯების სისტემატური შემცირება, ამ მიმართულებით ჩვენს კოლექტივს კარგი შედეგები აქვს. მიმდინარე წელს შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზრდილია 8 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია სხვადასხვა სახის ათეულ ათასობით კილომეტრი კაბელი, მათ შორის რამდენიმე ასეული კილომეტრი საექსპორტოა, რენტაბელობის დონეს და მოგებას დიდად ზრდის საექსპორტო შეკვეთები. ქართული კაბელი მსოფლიოს 22 ქვეყანაში იგზავნება.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალმა სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა აღმოგვეფხვრა ზოგიერთი ნაკლოვანებანი, რაც ადრე შრომის ნაწილების, ნორმებისა და მატერიალური სტიმულირების საქმეში არსებობდა. თუ ადრე მომუშავეთა 18-20 პროცენტი ვერ ასრულებდა გამომუშავების ნორმებს, ახლა ეს მაჩვენებელი შემცირდა. ქარხანაში უკანასკნელ ხანს ბევრი ნოვატორული საბლე დაინერგა. ამოქმედდა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ახალი საშუალებანი. ახალი ტექნიკის ხაზით დანერგილმა ღონისძიებებმა, რაციონალიზატორულმა წინადადებებმა და შრომის მეცნიერულმა ორგანიზაციამ ქარხანას დიდი მოგება მისცა. ახლა მეტ ყურადღებას ვუთმობთ საწარმოო კულტურას და ესთეტიკას. მარტო წელს ქარხნის ტერიტორიაზე 500-მდე ძირი მარადმწვანე მცენარე, დეკორატიული ხე-ბუჩქი დაირგო. ეწყობა ახალი გაზონები და ყვავილნარები, რაც შნოსა და ლაზათს მატებს ქარხნის ტერიტორიას. ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა კვლავ გრძელდება. მეკაბელეებმა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დაღეშება 23 დეკემბრისათვის შეასრულონ. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

დ. კუხიანიძე,

ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ დირექტორი.

ქვასატეხი კარიერები და თავსატეხი პრობლემები

რამ გააშიშვლა ქოჩორა ქედი?

ვინ არ მოხიბლულა ჩვენი მარადი საოცარებით და ბაგრატის ტაძრით, ამ უბრწყინვალესი ძეგლებით, რომლებიც ისტორიულ ნიშანსვეტებად აღმართულან ერთიმეორის პირისპირ და განზრახ დამიზნებულებივით შეჰყურებენ ერთმანეთს.

მაგრამ ქუთაისისა და გელათის შემოუვარენი მარტო ამ ისტორიული ძეგლებით როდი ხიბლავენ ადამიანს. მიჰყვები გელათის გზას და სულ უფრო ტკბები ბუნების სილამაზით. აგერ — რიონი, მწვანეყვავილა, გუმათის ზღვა, უფრო მაღლა — მოწამეთის მთები და მწვანით აჭიჩრილი ქედები, მათ შუა — სატელევიზიო კოშკი, გადაღმა — წყალწითელა, მოწამეთის მონასტერი და თვითონ გელათი...

კაცის ხელმა შემოინახა, გადაარჩინა, კიდევ უფრო დაამშვენა ბუნების მომადლებული განძიც და ისტორიული ძეგლებიც.

კულტურის ძეგლების სამეგობროდ მოვიდნენ აქ, გელათში, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, მოვიდნენ და შესანიშნავი საქმე ითავეს — მთლიანად აღადგინეს გელათის კიდევ ერთი უნიკალური ძეგლი, ბაზილიკური ტიპის ეკლესია, რომელიც „წმიდა ელიას“ სახელით არის ცნობილი და სახელგანთქმულ გელათის ტაძრის ერთი საუკუნით ძველია.

ბუნების სამეგობროდ მოვიდნენ ქუთაისელები მწვანეყვავილას მიდამოებში და აქამდე შემორჩენილი ხრიოკი ადგილების გასამწვანებლად მასობრივი შაბათობები მოაწყეს, ათიათასობით ძირი ხე დარგეს. და ყოველივე ამის მნახველს რაოდენ გიგრძენებია გული, როცა გელათისკენ მიმავალს, სამეგობროდ კი არა, სამტროდ აღმართული ხიღის კვალი წარმოეცდება თვალწინ.

მაღლა, გოდორას ქედზე, მის გაშიშვლებულ თხემს დაინახავ. სადღაც მუხით, წაბლითა და ბზით შემოსილი ქოჩორა ქედი, ჯერ კიდევ გუშინ ასე დიდებულად რომ ამშვენებდა ამ ქედსაც და მთელ გადასახედსაც.

დაბლა, გზატკეცილზე, გოდორას შიშვლი ქედის თხემიდან ჩამოცვენილ უზარმაზარ ლოდებს წააგდებ. ზოგი ისე დიდია, რომ ასფალტზე დარტყმის ძალით ორმო და გუბურა გაუჩენია. ლოდები ფერდობებზე და გზატკეცილის ყველა ბზარეზეა მიმოფანტული.

მაინც რატომ გაშიშვლდა გოდორას ქედი? რატომ მოცვივა გვერდა ქვა-ღოდები, რომლებსაც საფრთხე და შუქარა მოაქვთ თან?

ხუთიოდე წელია, რაც ამ ქედზე საქართველოს სსრ სამინ. მასალათა მრეწველობის სამინისტროს ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის ქვასატეხი კარიერები მოეწყო. ერთხანს, თითქოს, ყველაფერი რიგზე მიდიოდა. მაგრამ შარშან და წელს იმატა ნგრევამ, აფეთქების ძალამ, იცოო გოდორას ქედის სიმაღლემ და სიმწვანემ. ყოველი აფეთქების დროს, და ამას ყოველი მისი გამჩენე ადასტურებს, ზანზარებს მთელი მიდამო, აფეთქების ძალა, სროლის დეტონაცია სწვდება და ანიანებს სოფელ მოწამეთაში მცხოვრებთა სახლებს.

აბა, კკითხეთ მოწამეთელ კოლმეურნეებს კირილე, თეფიდე და ტარასი ჭარხლაშვილებს, რამ დააზიანა მიწაში ჩაფლული ქვევრები, რამ ჩალეწა მინები და რამ მოკლა პირუტყვი...

კაცს გული გეტკინება, როცა 82 წლის მოხუცს კირილე ჭარხლაშვილს უსმენ:

— ჩვენი მთავრობა ბრიოკებს ამწვანებს და ატყვებს, ხალხი ოფლს ღვრის თავისი ბუნების გამშვენიერებისათვის. ჩვენი გოდორას ქედი კი, ოდითგანვე დიდებული ტყით დაფარული, თვალსა და ხელს შუა ქრება, ხრიოკად იქცევა. ესეც რომ არ იყოს, საფრთხე ემუქრება სახლებს, ცოცხალ არსებას.

— მართალს ამბობს ბერიკაცი, — ამ თვენახევრის წინ ჩვენი კოლმეურნეობის სამი წლის მთვარი კარიერიდან გადმოცვივნულმა ქვებმა მოჭრა. ღმერთმა დაგვიფაროს, და იქ ადამიანიც რომ ყოფილიყო?! — თავისი გუღისხმები ვერ დამალა მწყემსმა ტარასი ჭარხლაშვილმა.

ამდენი გულისტკივილით გელათის მთავოწეთა. გელათის ძეგლ-მუზეუმის გამგე ი. ფუტკარაძე და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერი მუშაკი, ეკსკურსიამძღოლი ზ. წიტაიშვილი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ქვასატეხები წარმოებული აფეთქებები საფრთხეს უქმნიან ტაძარს, და ამის დასადასტურებლად მთავარი ტაძრის სამხრეთ კედლზე, მზის საათის ზემოთ, მონოლითური ქვისმუშაობის დეფორმირებაზე მიუთითებენ.

ცხადია, იმ ადამიანებს უფრო უნდა ვრწუხდნო, რომლებიც აქ წლების მანძილზე მუშაობენ. მაგრამ, სხვები კიდევ ამ აზრს არ იზიარებენ, ამტკიცებენ, კარიერების აფეთქებით გელათს საფრთხე არ ემუქრებაო.

ასეა თუ ისე, ეს საკითხი აქამდე წარმოებულ შემოწმებასა და დასკვნებზე მაინც არ უნდა გაიყინოს. ხომ შეიძლება, დღეს თუ არა ხვალ მაინც გახდეს საგანგაშო გელათის საქმე? მერე გვიან არ იქნება?

ჩვენ ვესაუბრეთ ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის დირექტორს ა. შალამბერიძეს და ბურღვა-აფეთქების სამუშაოთა უბნის უფროსს გ. ბერაძეს. ორივენი ამტკიცებენ, აფეთქების ძალა არც ისე დიდია, ეს ჩამოსულმა კომისიამაც დაადასტურაო.

ვთქვათ, ასეა. მაგრამ სად წაუხვალ ჯიუტ ფაქტებს, იმას, რომ კარიერების მოქმედებით ეულკანივით ცვივა გელები ლოდები, ან კიდევ იმას, რასაც მოწამეთელი კოლმეურნეები და გელათის ძეგლ-მუზეუმის თანამშრომლები აცხადებენ?

ბოლოს, გასა გოდორას ქედ-გარდა ქუთაისის შემოგარენი, რომლიც ასე დიდებულია ქირქილით, სხვა, საფრთხისგან სავსეები, საბაღო არ არის? განა ნაწილობრივ კიდევაც არ ეფრთხილებით ამ ბუნებრივ ძეგლს? და-წერილ კითხვებს თითქმის ყველა მკითხველი გვწერს. ეშინიათ, რომ ქვასატეხები ბუნების ამ ულამაზეს ნაკუწებად არ აქცევენ. ეშინიათ, რომ ეს ნაკუწები ვერასოდეს ვერ შეიკრიბება ისევ ერთ მთლიან ძეგლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ეშინიათ მთლად ამაო არ არის. ამ ეშინიათ ბევრი რამ ითქმის. ეშინიათ, რომ ეს ნაკუწები ვერასოდეს ვერ შეიკრიბება ისევ ერთ მთლიან ძეგლად.

ბრძოლა უსუფთაობას!

კვების საწარმოებსა და ობიექტებში სანიმუშო წესრიგისათვის

ქუჩანაღლების მწვავე ინფექციების თავიდან აცილების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სასურსათო მაღაზიებში და საკოლმეურნეო ბაზრებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმისა და წესების დაცვას. რაც ნიშნავს ხაკვები პროდუქტების მომზადებას ადი ნედლეულისაგან, რომ ეს ნედლეული წესიერად ინახებოდეს, არ მოხდეს მისი დაბინძურება, გამოშვებული საკვები პროდუქტი მომზმარებლამდე უნდა მივიდეს ადი და კეთილხარისხოვანი. ყოველივე ეს მაშინ განხორციელდება, თუ მზა პროდუქციას წარმოებიდან საკვაჭრო ან საზოგადოებრივი კვების ქსელში გადაგზავნიდავთ წესაბამისი სანიტარული რეჟიმის დაცვით — შეხაბამისი ტრანსპორტით და ტარით.

სწრაფფუქმებადი პროდუქტებს გადაზიდვა უნდა მოხდეს სპეციალიზებული რეფრიჟერატორით, რომელიც ცივად შეინახავს პროდუქტებს. საწუქსაროდ, ამ მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზაციას ჯერჯერობით ვერ მოაწყო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესაბამისმა სამმართველომ. ამჟამად ექსპლოატაციაში მყოფი რეფრიჟერატორები, ცივად ვერ ინახავენ პროდუქტებს. ეს მაშინ, როდესაც ასეთი ცხელი ზაფხული გვაქვს.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სანიტარული წესების დარღვევებს პურფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის გადაზიდვის დროს. ხშირია შემთხვევები, როდესაც პურფუნთუშეულს ჩასაწყობად ხონჩები უსუფთაოა. შემდგომი ეტაპი, სადაც შეიძლება მოხდეს საკვები პროდუქტების დაბინძურება, ეს არის სასურსათო მაღაზიები. აქ პროდუქტები უნდა ინახებოდეს მაცივრებში წესების სრული დაცვით. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამ ობიექტების მუშაობასა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე ზედამხედველობას აწარმოებენ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები. ამ დღეებში ჩატარებული შემოწმებით, რაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეიდისამმართველომ მოახდინა, გამოვლინდა მთელი რიგი უხეში დარღვევები.

ბრძოლა უსუფთაობას!

კვების საწარმოებსა და ობიექტებში სანიმუშო წესრიგისათვის

კიროვის სახელობის რაიონში სასადილოების № 1 ტრესტის კაფე „დილაში“ სრულიად კეთილმოუწყობელ, შეუფერებელ მცირე ფართობის კუთხეში წარმოებს ჭურჭლის რეცხვა, რასაკვირველია, უხარისხოდ. სანიტარული წესების დარღვევით წარმოებს აგრეთვე საჭაურისა და ხილფაფის რულეტის მომზადება. ანტისანიტარულ მდგომარეობაშია საპირფარეშო. ობიექტის ექსპლოატაცია შეჩერებულია. ანალოგიური მიზეზების გამო ვაჭრობა შეწყდა ამავე ტრესტის სასადილო № 11-ში. ბელინსკის ქუჩაზე მდებარე სახაჭაპურე მთავსებულია ძალიან მცირე ფართობის სათავსში, სადაც სანიტარული წესების უხეში დარღვევებით ამზადებენ ხორციან ღვეზელსა და ხაჭაპურს. უხარისხოდ ირეცხება სასადილო ჭურჭელი და ლუდის სასმელი ჭიქები. თანამშრომლები არ იცავენ პირად ჰიგიენას. ობიექტის ექსპლოატაცია შეჩერებულია.

სრულიად დაუშვებელ პირობებში წარმოებს ჭურჭლის რეცხვა სასადილოების № 2 ტრესტის № 9 გაერთიანებაში. ხორციანი ღვეზელისა და კუპატის მომზადება წარმოებს მცირე ფართობის შენობაში, რომლის სანტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჭურჭლის რეცხვა მოუგვარებელია და მისი რეცხვის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია დილის მასიური მდებარე № 87 სასადილოში. აქვე ირღვევა სანიტარული წესები, სამზარეულოში პროდუქტების შენახვისა და დამუშავების დროს. ბუფეტის მაცივარში ინახება ტალახში ამოსვრილი პამიდორი. ჭურჭელს, პროდუქტებს ამინქურებენ ცხელი წყლის ნაცვლად ცივი წყლით.

ბორჯომის სასადილო № 1 ტრესტის რესტორან „დიდუბეში“. აქ თეფშები, ჭიქები და სამზარეულო ქვაბები ერთ განყოფილებაში ირეცხება. სამწარეულოს არა აქვს დამწმარე სათავსი. ამიტომ 69 გაერთიანების ეკრთწოდებული კოკტეილბარი გადაქცეულია სასაუზმედ, სადაც უბუზად ირღვევა პროდუქტების შენახვისა და მომზადების სანიტარული წესები. საპირფარეშო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ამავე გაერთიანების დიეტურ სასადილოში სამ წუთაგეზეული მასალიდან. ჭურჭლის სარეცხ განყოფილებაში მხოლოდ ერთი ჩანი, ჭურჭელი უხარისხოდ ირეცხება.

უხეში სანიტარული დარღვევები ლუდის ბუფეტში. ბორჯომის ფაქტები მიუთითებენ ამ ობიექტების ხელმძღვანელთა არასერიოზულ დამოკიდებულებაზე საქმისადმი. ხასაყვედუროა აგრეთვე სანიტარული ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა, რომლებიც მიუხედავად მიღებული ზომებისა, ყოველთვის არ იჩენენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს და ბოლომდე არ მიჰყავთ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება.

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის გამოჩენა სანიტარული წესრიგის დასამყარებლად.

ლ. გაბრიჩიძე.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი.

იასონ ხუციშვილი

ბრონზის ძეგლი



ბანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სჩკპ წევრი 1930 წლიდან იასონ გიორგის-ძე **ხუციშვილი.**

ი. ხუციშვილი დაიბადა 1904 წელს ქ. თბილისში, ხელმოკლე მოსამსახურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თბილისში და სწავლა განაგრძო ქ. გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ 1922-1926 წლებში სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ განყოფილებაზე.

1920 წელს ი. ხუციშვილმა დაიწყო შრომითი საქმიანობა და მას შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის პატრიოტულ საქმეს. 1922-1931 წლებში იგი მასწავლებლობს თბილისის მე-2 და მე-15 შრომის სკოლებში, ამავე დროს ლექციებს კითხულობს ინდუსტრიულ ტექნიკუმში, პარტიულ სკოლებში. 1931 წელს მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის ლექტორად. პარალელურად ლექციებს კითხულობს სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერიულ ტექნიკუმში. 1932 წელს ინიშნება კომუნისტური უნივერსიტეტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილში. 1938 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, ხოლო შემდეგ პროფესორად. წლების განმავლობაში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და დეკანი.

1941 წელს ი. ხუციშვილმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1958 წელს სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს უცვლელი წევრი, წლების განმავლობაში კი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამრობლო სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ი. ხუციშვილი 40-ზე მეტი დაბეჭდილი შრომის ავტორია. იგი სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიის თემატიკაზე ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის, რუსეთ-საქართველოს, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობათა ისტორიისა და სხვა საყურადღებო პრობლემებზე.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ი. ხუციშვილმა საქართველოში ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის მეცნიერულ გაშუქებას.

ბეჭდილი შრომის ავტორია. იგი სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიის თემატიკაზე ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის, რუსეთ-საქართველოს, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობათა ისტორიისა და სხვა საყურადღებო პრობლემებზე.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ი. ხუციშვილმა საქართველოში ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის მეცნიერულ გაშუქებას.

ი. ხუციშვილი წლების მანძილზე იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის შტატგარეშე ლექტორი; ბიტიურად მონაწილეობდა საზოგადოება „ცოდნის“ სალექციო საქმიანობაში.

ი. ხუციშვილი რამდენჯერმე იყო არჩეული უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის წევრად და ისტორიის ფაკულტეტის პარტიული ბიუროს მდივნად.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს ი. ხუციშვილის ღვაწლი. 1961 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო მთავრობის მედლებით.

იასონ გიორგის-ძე ხუციშვილის სახელი მუდამ იცოცხლებს მისი აღზრდილებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ახლა საზაფხულო იალაღებზე დიდი გამოცოცხლებაა. მეცხვარეები ენერგიას, ცოდნას არ იშურებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. აი შეხედეთ ბუნების მშვენებას: სულ მაღლა მთის მწვერვალზე თოვლი შემორჩენილა და მოქუხს აქაფებული ჩანჩქერები. ქვევით — ხევსურეთის სოფელ როშკის ალპური საძოვრები გადაშლილა და იგი დაუფარავს ცხვრის ფარას, რომელიც ნელი ძოვით მიჰყვება ლორთქო ბალახით უხვ კალთებს. ამ სურათზე აღბეჭდილია დუშეთის რაიონის გუდამაყრის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარა, რომელსაც თავს დახდგომია ახალგაზრდა მწყემსი **გოგი გეჭაური.** იგი წელს მეხუთედ გაუყვება გზას ყინწლარის ზამთრის საძოვრებისაკენ.

ფოტო ი. წიკლაურისა.

რაზეა დათქმა...

მოთხრობა

რუმა რედაქტორის კაბინეტში შევდიოდი, ყოველთვის მოკრძალება შეუფერებოდა იმ ვეებერთელა ოთახის, გაკრიალებული საწერი და მისადგმელი მაგიდების, წესიერად დაწყობილი სხვადასხვა ზომის ქაღალდებისა და საქაღალდეების, კალმებისა და ფანქრების, საგულდაგულოდ დალაგებული ტელეფონის აპარატების (უთადარიგოდ დახვეული ზონარს ვერასოდეს წააწყდებოდა თვალი) და თვით დარბაისელი უფროსის მიმართ, რომელის მოქანცული ინტელექტუალური სახე და მოთქროვილი ჩარჩოთი გაწყობილი სათვალე საუკუნეობრივ პეწს ჰფენდა ისედაც გაპენწინეკებულ ოქაურობას.

— ალაზნის ველზე მზრალად ხნულებში თესვას იწყებენ. რეპორტაჟი დაგვჭირდება... იქნებ გვერდიც დაგუთმოთ... რეპორტიორი არ დაგვიწყდეთ.

ჩემს ოთახში დაბრუნებისთანავე შეუკავებელ ლაპარაკი რაიკომის მდივანთან, მერე რეპორტიორს დაუწერეკე და შემისვლა ვთხოვე. ის იყო ნუგზარი შემოვიდა, რომ ტელეფონიც აწკრიალდა კაბმულად.

— ხათესავ როდის გადიხართ? — შეეკითხე ამხანაგ ლევანს მისალმებას, ოჯახისა და ამინდის ამბის გამოკითხვის შემდეგ.

— ხვალ. დილის შვიდზე ვიწყებთ.

— რატომ არ შემატყობინეთ?

— განყოფილების გამგეს დავავალე, არ გაგაგებინანო?

— ძველი მეგობრების დავიწყება არ ვარგა, პატივცემულო ლევან.

— ნამდვილად დავავალე, რა დაემართა, არ ვიცი!

— შვიდზე მანდ ვიქნებით.

— ოთხზე რომ გამოხვიდეთ, აუჩქარებლად ჩამოხვალთ. ლელიანს ზემოდან, ფერმების ბოლოში, ბებერი მუხა...

— ვიცი, ვიცი!.

უთენია გაეცით მე და ნუგზარი. გზა თავისუფალი იყო, კარგი ნაკეთებიც. საგარეჯომდე მაინც ნავითით მისრიალებდა ჩემი შვიდსიფერი „მოსკვიჩი“. ჩალაუბანთან ირიგრაჟა, სიღნაღს მივაგანეთ. ერთხანს საურმით ვიარეთ. შვიდის ნახევარზე კი ვეება, ჯიხვაც გაუფოთლავ ბერმუხას მივაღწიეთ.

შორიდანვე შეეწინშინე მუხის ირგვლივ ნახირივით მოდებული მანქანები, ერთფრად რომ მოჩანდნენ დილის უღიმღამო სინათლეში. ოდნავ მოშორებით ქვაბი შეედგათ ცეცხლზე, შორიახლოს სახელოებდაკაპიწებული ორი ვაქკაცი ახლად დაკლულ მოზვერს ატყავებდა საგულდაგულოდ. აქაური კოლმეურნეობა საფურე ნაშაჯს ფიჩის მოტეხის, გადაჩეხვის ან მგლისაგან დაგლეჯისას თუ დაკოდავდა...

აქსელერატორზე დაბუქებული ფიჩი გავზართე ალაზნის მადლიან მიწაზე. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ამხანაგები; კოლმეურნეობის ომბახანი თავმჯდომარე გიორგი ერთ-ერთ ჯგუფს გამოეყო და დინჯად წამოვიდა ჩემსკენ. მეც გავწიე შესახვედრად.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი ჩემსკენ მავალ ამ ბრაზ ვაკაცს, მით უფრო ვემატებდი ნაბიჯს. მის ტანზე სწორედ ის ფინური კოსტიუმი შევნიშნე, რომელსაც იანვარში გამალებით ვეძებდი...

რადაცას ფიხი წამოეკარი და გიორგის მადლიანი ხელი რომ არა, უთუოდ მიწაზე გავიშხლართებოდი.

— ნელა, ადამიანო, ფეხი არ იტკინო!

ეტყობა, ჩემი სახელი დავიწყებოდა.

— მუხლი დამეხუთა მანქანაში ჯდომით.

— ჰო, პატარაა და კაცი ძნელად იმართება. — მითხრა გიორგიმ და ხელი ღუნედ ჩამომართვა, თან, ფეხნებ. გამოიმია კიდეც. — ესე ადრიან რამ აგაყენა?

— გვინდა თქვის დაწყებას დავესწროთ...

— დაესწრებით კიდეც. გესმის, ვანო, — გასძახა ერთ-ერთ გამტყავებელს, — ჩლიქები და ფაშვი ცალკე გადააწყე სასაშენდ.

— მესმის, მაშ, პირველად ხო არა ვარ.

— პირველად არა ხარ, მაგრამ ყველაფერს თადარიგი უნდა!

— „სალიარკა“ ხო საკმარისი წამოიღეთ, ბიჭო? — პირი იბრუნა ოდნავ მოშორებით მდგომ სატვირთო მანქანასთან მოფუსფუსე კაფანდარა ჭაბუკისაკენ.

— ყველაფერი საკმარისია.

ჩვენი საუბარი ჯერაც დაუმთავრებელი მეგონა, რომ გიორგიმ მე და ნუგზარს ზურგი გვაქცია და ტომრებით დატვირთულ მანქანასთან მივიდა, ახლად გადმოღებული ტომრიდან ხორბლის მარცვალი დაბეჭედა, ხელის გულზე გადაიყარა, კიდევ დახედა და ისევ ტომარაში ჩაახრუნა, ხელები გულმოდგინედ გაიბერტყა, მერე გაქათქათებული ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა და ზედ შეიწმინდა.

შუხის ძირს მივაშურე. ყველაზე ახლოს იდგნენ მეორე მდივანი ზურაბი, სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ნიპლაძე, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნაცელიშვილი და კიდევ ვილაც ორი კაცი. ზურაბმა კეთილად გამიღიმა და ნიპლაძეს ხუმრობით გადაჰკრა:

— გუშინ ამას ამხანაგმა ლევანმა დღე აყარა...

— რაზე?

— აი, თქვენთვის რომ არ დაურეკავს...

— მე არაფერ შუაში ვარ, სამი დღე ზედიზედ ვრეკავდი და ვერ გავგებინეთ.

— ჰო, შეიძლება. ამ დღეებში ბევრი საქმე გვქონდა.

— ამხანაგმა ლევანმაც ეგ უსაყვედურა, თუ შენ ვერ იპოვნე, ჩემთვის უნდა გეთქვაო.

ამასობაში გზაზე კიდევ ერთი „ვოლგა“ გამოჩნდა. ბურაბი ერთიანად შეტრიალდა, სხვებიც იქითკენ მიბრუნდნენ. გიორგი როგორღაც ადგილზე ამოძრავდა, მერე შორიახლო შეჩერებული მანქანისაკენ ლამის სირბილით გასწია.

ამხანაგი ლევანი ცოცხლად გადმოხტა წინა მანქანიდან, მასთან ერთად გადმოვიდნენ აღმასკომის თავმჯდომარე მირიანაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი სულავა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ბოლკვაძე, მეორე მანქანაში ქქვსი კაცი იჯდა: აღგილობრივი გაზეთის რედაქტორი ვანო ცერცვაძე, მილიციის უფროსი, ენამახვილობაში ტოლდაუდები ვახტანგ ჩაჩანიძე, ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორი კეთილაძე...

— როგორ არის საქმე?

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ლევან!

— მაშ დავიწყოთ.

— დავიწყოთ. შოთავ, სადა ხარ?

— აქ გახლავართ.

— აბა, გასწი.

ჩია ბიჭმა მყისვე ააბობოქრა ვოლგისპირული ფოლადის გოლათი. ათუხთუხდნენ სათესის მეჭანიზმები, მადლიანად გადაბერჭრა ალაზნის მუქყვე მიწა. კაცის ნაბიჯზე სწრაფად მიეურავდა აოკებულ ნაბნავში ჩვენს მინდვრებზე გუთნეულის, მებრეების და გუთნისდედის გამჭრობი მეცე საუკუნის ნაშიერი. ტკაცუნობდა ნუგზარის ფოტო, ხრიალებდნენ კინოაპარატები, ხან წინ მოქცეოდნენ, ხან გვერდიდან უმიზნებდნენ ლუღებს.

ლევანი დაფარცხულ ხნულზე დაიხარა, მიწა დაბეჭედა, ხელისგულზე გაშალა და იქვე გადაყარა. სხვებმაც მიჰბაძეს მას, პირველად გიორგიმ.

— ესეც ასე, — თქვა ლევანმა და ხელები გაიბერტყა, გიორგიმაც გაიბერტყა, ცხვირსახოცი კი ბოლო ამოუღია.

ტრაქტორის გუგუნი ალაზნის თვალუწვდენელ ველზე ყრუდ იფანტებოდა, ციცგნებრის მდორედ აწყდებოდა და უკანვე ბრუნდებოდა ჩიფჩიფად. დალეული ზამთრისა და ჯერაც ფეხაუდგმელი გაზაფხულის მზე უნიათოდ დაბობღავდა მთელილ ღრუბლებში. ტრაქტორის ჭოთქოთს ალაზნის მიჩქმალული შუილი ეფიცხორცი და სხვა პროდუქტები მუშავდება სანიტარული წესების დარღვევით. სრული ანტისანიტარია იყო ბუფეტში. მოუგვარებელია სასადილო ჭურჭლის რეცხვის საქმე. სასადილოების მერვე ტრესტის გაერთიანება № 74-ის № 1 და № 3 ფილიალებსა და მესამე ტრესტის გაერთიანებაში № 125-ის კაფე № 7-ში.

სანიტარული წესების უხეში დარღვევებით მუშაობს № 62 გაერთიანების სასადილოსთან არსებული საღვეზელე საამქრო, სადაც მიმდინარეობს შეკეთება და ამავე დროს პროდუქციის გამოშვება. გამოკვანილია დადგენილება ყველა დასახელებული ობიექტის ექსპლოატაციის შეჩერების შესახებ.

წერეთლის პროსპექტზე მდებარე ბენ ბუზები. პროდუქტების დასაცავად არა აქვთ ღონისძიება.

სრულებით არ ზრუნავენ ჭურჭლის რეცხვის ხარისხზე თბილისის კაფე-რესტორნების ტრესტის რესტორან „დიდუბეში“. აქ თეფშები, ჭიქები და სამზარეულო ქვაბები ერთ განყოფილებაში ირეცხება. სამწარეულოს არა აქვს დამწმარე სათავსი. ამიტომ ხორცი და სხვა პროდუქტები მუშავდება სანიტარული წესების დარღვევით. სრული ანტისანიტარია იყო ბუფეტში. მოუგვარებელია სასადილო ჭურჭლის რეცხვის საქმე. სასადილოების მერვე ტრესტის გაერთიანება № 74-ის № 1 და № 3 ფილიალებსა და მესამე ტრესტის გაერთიანებაში № 125-ის კაფე № 7-ში.

სანიტარული წესების უხეში დარღვევებით მუშაობს № 62 გაერთიანების სასადილოსთან არსებული საღვეზელე საამქრო, სადაც მიმდინარეობს შეკეთება და ამავე დროს პროდუქციის გამოშვება. გამოკვანილია დადგენილება ყველა დასახელებული ობიექტის ექსპლოატაციის შეჩერების შესახებ.

წერეთლის პროსპექტზე მდებარე ბენ ბუზები. პროდუქტების დასაცავად არა აქვთ ღონისძიება.

სრულებით არ ზრუნავენ ჭურჭლის რეცხვის ხარისხზე თბილისის კაფე-რესტორნების ტრესტის რესტორან „დიდუბეში“. აქ თეფშები, ჭიქები და სამზარეულო ქვაბები ერთ განყოფილებაში ირეცხება. სამწარეულოს არა აქვს დამწმარე სათავსი. ამიტომ

ვინ ალისტები ცნობილია

დასასრულს უახლოვდება დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. მორიგი მატჩი შედგა დიუსელდორფში ინტერნაციონალურ ზონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის. აქ პაეჭარობა ჰქონდათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ესპანეთის ჩოგბურთელებს. წარმატება დაჰპყრეთ გერმანელებს ხედათ ანგარიშით 4:1.

ახლა გერმანელ ჩოგბურთელებს გადამწყვეტი შეხვედრა ექნებათ თასის ახლანდელ მფლობელთან — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან. ეს შეჯიბრება გაიმართება ჭილაქ კლივლენდში.

„ბ“ კლასის მეორე ზონაში

გაიმართა „ბ“ კლასის მეორე ზონის პირველი ჭიდჭგუფის გუნდების შეხვედრები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. აი მათი შედეგები:

მახარაძის „მერცხალი“ — ტყიბულის „მეშახტე“ 3:0, ფოთის „კოლხეთი“ —ცხინვალის „სპარტაკი“ 3:1, ლანჩხუთის „გურია“ — ვანის „სულორი“ 3:0, თელავის „კახეთი“ — კამენსკ-შახტინსკის „პროგრესი“ 2:1, რუსთავის „მეტალურგი“ —ბელაია კალიტვას „ორბიტა“ 0:1, გურჯაანის „ალაზანი“ — კრასნი სულინის „მეტალურგი“ 1:0, ნოვოროსიისკის „ცემენტი“ — რიონის „სპარტაკი“ 0:1, ეიასკის „ტორპედო“ — ტაშკენტის „სპარტაკი“ 3:0, ხონის „დინამო“ — ხარაგეულის „სპარტაკი“ 0:1.

უკანასკნელ მიჯნასთან

ნეპროპეტროვსკი, 17 აგვისტო. (საკვლევის სპეც. კორ. ი. რობლინი). ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე შეჯიბრების პირველი ეტაპის დასკვნითის მატჩებში ხვდებიან შემდეგი წყვილები: ბ. კატალიმოვი (ალმა-ატა) და დ. ბრონშტეინი (მოსკოვი); ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი) და ლ. ალბურტი (ოდესა); გ. სავონი (ხარკოვი) და მ. ტალი (თბილისი); გ. ფიშბისოვიჩი (ლენინგრადი) და ა. შმიტი (რიგა).

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 19 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მ.)	21	10	8	3	35-16	28
„დინამო“ (მ.)	20	11	5	4	28-12	27
„დინამო“ (თბ.)	19	10	5	4	28-14	25
„დინამო“ (კ.)	20	10	4	6	21-15	24
ცსკა	19	10	3	6	27-13	23
„ტორპედო“ (მ.)	19	8	7	4	21-17	23
სკა (როსტ.)	20	5	12	3	16-13	22
„ზარია“ (ვ.)	20	7	8	5	16-17	22
„ნეფტჩი“ (ბ.)	20	6	8	6	18-14	20
„არარატი“ (ერ.)	20	8	4	8	19-21	20
„დინამო“ (მნ.)	20	6	7	7	23-20	19
„პახტაკორი“ (ტ.)	20	5	7	8	13-20	17
„შახტიორი“ (დ.)	19	5	5	9	17-34	15
„ტორპედო“ (ჭ.)	20	3	8	9	12-20	14
„ჩერნომორც“ (ო.)	18	3	6	9	10-21	12
„ზენიტი“ (ლ.)	19	4	4	11	16-31	12
„სპარტაკი“ (ორჯ.)	20	3	5	12	18-31	11

რამდენიმე სტრიქონით

● **ბუშინ მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. უკანასკნელ მატჩში სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდი 89:61 (47:29) და პირველი ადგილი დაიკავა.**

● **ოდესაში** დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. გუნდურ ასპარეზობაში წარმატება „დინამოს“ პირველ კოლექტივს ხვდა. თბილისელი გ. თავდიდიშვილი საბრძოლო ნებისმიერი შაშხანის „გაქცეულ ირემზე“ სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

● **ზაპოროჟიეში** ფინიში ჰქონდა ჩვენი ქვეყნის პირველობას ფარიკაობაში. დაწინაურებულ ბრძოლაში მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი კიეველი გ. კრისი მეოთხეჯერ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

● ინგლისის ჭადრაკ ლენტერში გამართულ ველომრბოლოთა მსოფლიოს პირველობაზე ლენინგრადელმა ა. კონკინამ 70 კილომეტრზე საგზაო-კენჭიანი ველოსრბოლოში ქალთათვის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

● **ლენინგრადში** გამართულ მძლეოსანთა საქალაქო შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა სტუდენტი სპორტსმენი გ. ვოიკინი. მან წინასწარ შეხვედრებში ბირთვი კრა 19 მეტრსა და 46 სანტიმეტრზე, ხოლო ფინალში ეს მიღწევა კიდევ 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა. გ. ვოიკინის ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ახალ სეზონში.

კომუნისტი ტაშკენტი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რ ა დ ი ო

20 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — ხაოვრეტო მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „სპარტაკიადის პიონერი“, 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — მსუბუქი მუსიკა, 12.10 — ციკლიდან „პრატიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „პასუხისმგებლობა კომუნისტის უპირველესი თვისებაა“, 12.25 — ბრაშმი. საფორტეპიანო სონატა და მინორი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ს. მირიანაშვილის. სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — უკრავს თბილისის კამერული ორკესტრი, 17.35 — მოსწავლეთათვის. ნარკვევი „დიდ მთებში“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — საუბარი „კანონი ჯგუფლასათვის საგალდებულოა“, 19.15 — ვაგნერი. სცენა ოპერა „ვალკირიადან“, 19.45 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ — მცხეთის რაიონი, 21.00 — კონცერტი მცხეთის რაიონის მშრომელთა თბოვნით, 21.30 — ი. იაკოვლევი. „უცხო სისხლი“ მოთხრობა, 22.00 — ჰ. ჩაიკოვსკი. საკონცერტო ფანტაზია. 22.50 — ლ. ბაშვილი. სიმღერები, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

19 აგვისტო

11.05 — ახალი ამბები (ხიდმოკიმა მოსკოვიდან), 11.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მოსწავლეთათვის — „ვრაფი და ჯადოსნური ჯოხი“ (ხიდმოკიმა მოსკოვიდან), 11.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 12.05 — გერმანული მხატვრული ფილმი — „გამოცანა მერსედესი“, 13.20 — „საბჭოთა ავშირის ხალხთა ატლასი“ (ხიდმოკიმა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები. 18.10 — განცხადებები, 18.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „მოგიზიზი კლდეების განძეული“. 19.35 — თქვენი საყვარელი მწერალი — გიორგი შატბერაშვილი, 20.05 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის იულისის პლენუმის გადწყვეტილება მომქმედებაში. 20.25 — „ხანონიერების სადარაჯოზე“ (13 აგვისტოს ხიდმოკიმის გამორება), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — ახალგაზრდა მხატვრებთან, 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. 22.00— ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მხატვრული ფილმი „მადამ ბოვარი“ (ხიდმოკიმა მოსკოვიდან).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი — თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09. მ/მგ. მდივნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პრესგაზეთის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-14-70, მეცნიერების, უმაღლესი ხასწავლებლებისა და ხკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ხატარისა და ფოტოლაბორატორიის — 93-80-21, ცნობარის — 93-95-97 წერილების — 99-73-24, ელუხტრაციის—93-23-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექს 66443 უე 05722

სააქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.